MES 4 20 0000820890

11/09/2020

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 27.08.2020
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 17:27სთ
სხდომის თავმჯდომარე: დიმიტრი გეგენავა

სხდომის თავმჯდომარე: თამარ ტუფინაშვილი
საბჭოს მდივანი:ნიკა თიკანაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **დიმიტრი გეგენავა** - შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - სხდომის თავმჯდომარე;
2. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
3. **მანანა კევლიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
4. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
5. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სხდომის თავმჯდომარე;
6. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი;
7. **პაატა ბრეკაშვილი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტის მიმართულებით.

8. **ირმა წერეთელი -** გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;
9. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
10. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;
11. **ზურაბ ორჯონიკიძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი,პროფესორი;
12. **გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
13. **ზურაბ გვიშიანი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი მოვალეობის შემსრულებელი;
14. **რომეო გალდავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ქეთევან თელია	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებბი:

1	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ირინე კვაჭაძე	სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I , II
2	მედეა ჯღარკავა	სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	პროგრამების კოორდინატორი	I , II
3	მაკა ბერიძე	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	რექტორი	III
4	ნინო მილაშვილი	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III
5	ლელა წითაშვილი	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამების ხელმძღვანელი	III

6	ლერი ნოზაძე	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამების თანახელმძღვანელი	III
7	მარინა ქორიძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი	IV
8	მზია ბაქრაძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამების ხელმძღვანელი	IV
9	თეა ქოიავა	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
10	მამუკა თავხელიძე	შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	რექტორი	V
11	გულნაზი გალდავა	შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	რექტორის მოადგილე	V
12	ნინო წილოსანი	შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	პროგრამების ხელმძღვანელი	V

აკრედიტაციის ექსპერტები:

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	თამარ დაუსი	(ჩაერთო „ზუმით“)	I , II
2	ია მოსაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
3	მარიამ ზანგალაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
4	ბაქარ დუაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
5	ვლადიმერ მარგველაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
6	ელენე გიგინეიშვილი	(ჩაერთო ,,ზუმით“)	IV
7	გიორგი აბულაძე	(ჩაერთო ,,ზუმით)	IV
9	ნანა მდინარაძე	(ჩაერთო ,,ზუმით“)	V
10	ნანა ციცქიშვილი	(ჩაერთო ,,ზუმით“)	V
11	ნიკა გიგაური	(ჩაერთო ,,ზუმით“)	V

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი გეგენავამ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ექთნის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

2. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "საექთნო საქმის" (ბებიაქალი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

3. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

5. შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „დიპლომირებული სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. პირველი საკითხი: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "საექთნო საქმის“ (ექთანი) საბაკალავრო ქართულ-ავსტრიული საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საექთნო საქმის (ექთანი) ქართულ-ავსტრიული პროგრამა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N195; 05.11.2019
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საექთნო საქმის (ექთანი) ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0913- საექთნო და სამეანო საქმე
12	კვალიფიკაციის კოდი	0905
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი	

		საქართველო 0186, ქ. თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზირი 33
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

2. მეორე საკითხი: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "საექთნო საქმის" (ბებიაქალი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიში.

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საექთნო საქმე (ბებიაქალი)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N194; 05.11.2019
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საექთნო საქმის (ბებიაქალი) ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0913- საექთნო და სამეანო საქმე
12	კვალიფიკაციის კოდი	0905
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი	საქართველო 0186, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, 33
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

აცილება განაცხადეს - ზურაბ ორჯონიკიძემ და გაიანე სიმონიამ
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს შესთავაზა პირველი და მეორე საკითხების ზეპირ მოსმენაზე ერთად განხილვა, რადგან ორივე პროგრამა წარმოადგენდა ერთ სფეროს და შესწავლილი იყო ერთი ექსპერტის მიერ.

პირველი და მეორე საკითხების ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ისაუბრა შესრულებულ რეკომენდაციებზე. აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა აიყვანა პრაქტიკოსი ექთნები, მომავალი ექთნების აღზრდის მიზნით. ასევე, განმარტა, რომ გაიზარდა პრაქტიკული კომპონენტის კრედიტები - 6 კრედიტით, „საექთნო“ და „ბებიაქალის“ მიმართულებით. გარდა ამისა, რეკომენდაციის გათვალისწინებით დაემატა სხვა პრაქტიკული აქტივობებიც. რეკომენდაციაში აღნიშნული იყო ევროსაბჭოს ერთ-ერთი დირექტივა, რომელიც ითვალისწინებდა, რომ ბებიაქალის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტს მინიმუმ 100 მშობიარობას უნდა დასწრებოდა, რაც ხაზს უსვამს პრაქტიკული კომპონენტის არსებობის მნიშვნელობას სასწავლო პროგრამაში. ექსპერტმა საგანმანათლებლო ლიტერატურასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულების განმარტებით ეს შედარებით გრძელვადიანი პროექტია, მაგრამ პროექტის აქტიურად განსახორციელებლად მზაობას გამოთქვამს უნივერსიტეტი, კერძოდ წიგნებისა და ლიტერატურის შექმნაში მონაწილეობის მიღებით, რადგან აღნიშნულ სფეროში ლიტერატურა ქართულ ენაზე თითქმის არ არის. ასევე აღნიშნა, რომ საექთნო საქმეს კვლავ ექიმები ასწავლიან, რომლებიც ყურადღებას ძირითადად კლინიკურ დიაგნოზზე აკეთებენ.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ არსებული მიგნებები და რეკომენდაცია ორივე პროგრამაზე შესრულებული და გათვალისწინებულია, კერძოდ:

1.დაწესებულებამ აიყვანა პრაქტიკოსი ექთნები და ასევე, გაზარდა პრაქტიკული კომპონენტის კრედიტების რაოდენობა 6 კრედიტით. - თეორიული მეცადინეობების ხანგრძლივობა, სასურველია, გრძელდებოდეს, სულ მცირე, მთელი პროგრამის 1/3, კლინიკური მეცადინეობები კი მინიმალური მოსამზადებელი პროგრამის ნახევარი, ანუ მინიმუმ 3600 საათი უნდა დაეთმოს კლინიკურ მომზადებას;
2. სიმულაციის ლაბორატორიაში მეტი პრაქტიკული მანიპულაციის შესწავლა საექთნო საქმის პროგრამის სტუდენტის მომზადება რთული ინვაზიური პროცედურების ასისტირების ჩვევების ცოდნის შესწავლასა და გაღრმავებაში;

3. ექთანზე მორგებული მეტი საგანმანათლებლო ლიტერატურის შექმნა - ამ გზით ბაკალავრი ექთნის პროგრამის სტუდენტი გაეცნობა პაციენტების საფუძვლიან საექთნო შეფასებას, საექთნო პროცესს, ექთანსა და პაციენტს შორის კომუნიკაციას, კულტურულ განსხვავებებს, ჯანმრთელობის ფუნქციონალურ ასპექტებს და საექთნო პრაქტიკის მთლიან ჩარჩოს;
4. სწავლის პროცესში მეტი პრაქტიკოსი ექთნის (ინსტრუქტორის) ჩართულობა - კლინიკურ ინსტრუქტორებს მნიშვნელოვანი ამოცანა აქვთ ექთნის აღზრდაში. კადრი კარგად უნდა იყოს გათვითცნობიერებული საექთნოს პრაქტიკებში, ასევე საგანმანათლებლო მეთოდოლოგიებსა და მიდგომებში, რაშიც ძალიან დიდ დახმარებას გაუწევს უნივერსიტეტი; სწავლების მეთოდებსა და ფორმებთან დაკავშირებით მოხდეს თვითშეფასებისა და სილაბუსების კანონთან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება 13, 2007 წლის 5 იანვარი, ქ. თბილისი - ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისობაში მოყვანა;
5. პრაქტიკის განმახორციელებელ პერსონალს გაეწიოს მეტი კონტროლი, დაეკისროს მეტი პასუხისმგებლობა და მოხდეს მათი ახალი მონიტორირება, რათა სტუდენტებს საშუალება მიეცეთ ძირეულად შეისწავლონ საკითხი;
6. მნიშვნელოვანია, სტუდენტებს ჩამოუყალიბდეთ უნარი, მოიძიონ მტკიცებულებებზე დაფუძნებული სარწმუნო ინფორმაცია;
7. მნიშვნელოვანია სასწავლო ლიტერატურაზე იყოს შეუფერხებელი წვდომა.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ სრულიად გაიზიარა და შეასრულა აღნიშნული რეკომენდაციები. ცვლილებების გატარების შედეგად გაიზარდა პრაქტიკული საათების რაოდენობა და მოხდა პრაქტიკული ბაზების დამატება. რაც შეეხება საგანმანათლებლო ლიტერატურას, მისი ცვლილება და ამ კუთხით სიახლეების შემოტანა გრძელვადიან პროცესებთან არის დაკავშირებული, თუმცა უნივერსიტეტი გამოთქვამს მზაობას ჩართოს თანამედროვე ლიტერატურა სასწავლო პროცესში.

სხდომის თავჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა გაიზიარა ყველა რეკომენდაცია და შესაბამისად, განახორციელეს გარკვეული ცვლილებები გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:36
დასრულების დრო:14:41

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "საექთნო საქმის“ (ექთანი) ქართულ-ავსტრიულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

პირველი საკითხის კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის " "საექთნო საქმის“ (ექთანი) ქართულ-ავსტრიული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "საექთნო საქმის" (ბებიაქალი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

მეორე საკითხის კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "საექთნო საქმის" (ბებიაქალი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

3. მესამე საკითხი: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N377 13.09.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0612 მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. 122, უნივერსიტეტის II კორპუსი. საქართველო 0800
15		-

	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 10 ივლისს, წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. დაწესებულების მხრიდან ვიზიტი ორგანიზებული იყო მაღალ დონეზე. შეხვედრები განხორციელდა დღის წესრიგის მიხედვით. ვიზიტის ბოლოს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის მოხდა შემაჯამებელი შეხვედრა რის შედეგადაც დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს მათ მიერ შემუშავებული ძირითადი მიგნებები, რომელიც გამოვლინდა „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო პროგრამაზე მუშაობის ფარგლებში.
ექპერტმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით: „გათვალისწინებულ იქნას და აისახოს პროგრამაში/სილაბუსებში შრომის ბაზრის კონკრეტული მოთხოვნები სასწავლო კურსების და/ან თემატიკის სახით“ განმარტა, რომ აღნიშნული რეკომენდაციის გაცემის საფუძველი იყო მათი შეხვედრა დამსაქმებლებთან და შრომის ბაზარზე არსებული კონკრეტული მოთხოვნები, რომლებიც ნაწილობრივ გათვალისწინებულია, თუმცა არის კომპონენტები, რომლებიც ჯერ კიდევ საჭიროებს პროგრამაში ასახვას.
მეორე რეკომენდაციაზე: „საბაკალავრო პროექტი გახდეს სავალდებულო სასწავლო კურსის შემადგენელი ნაწილი“ ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამაში მოცემულია საბაკალავრო პროექტის სილაბუსი, მაგრამ პროგრამის მიხედვით აღნიშნული დისციპლინა არის არჩევითი და როგორც დაწესებულების წარმომადგენლებმა ვიზიტის ფარგლებში აღნიშნეს, სტუდენტები საბაკალავრო პროექტს ძირითადად არ ირჩევენ. აქედან გამომდინარე თუ სტუდენტების მიერ არ ხდება საბაკალავრო პროექტს არჩევა, გამოდის, რომ აღნიშნული სილაბუსი პროგრამაში ფორმალურად არის. შესაბამისად ექსპერტები აღნიშნავენ, რომ საბაკალავრო პროექტი გახდეს სავალდებულო ხასიათის.
მესამე რეკომენდაციაზე: „განხორციელდეს აქტივობები პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით“ ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულება ცდილობს გადადგას გარკვეული ნაბიჯები ინტერნაციონალიზაციის კუთხით, თუმცა უფრო მეტი რამ არის გასაკეთებელი, კერძოდ აღნიშნულ საკითხთან არსებული ღონისძიებები უნდა იყოს სისტემური ხასიათის.
რაც შეეხება შედეგ რეკომენდაციას: „მოხდეს საგანამათალებლო პროგრამების კატალოგის განახლება ვებ გვერდზე“, აღნიშნული რეკომენდაცია გაცემულ იქნა, რადგან ვებ-გვერდი განახლებული არ იყო.
ექსპერტთა წარმომადგენელმა განმარტა, რომ აკრედიტაციის 1.2 ქვესტანდარტი, რომელიც ეხება პროგრამის სწავლის შედეგებს, აღნიშნულთან დაკავშირებით აქვთ მხოლოდ ორი რეკომენდაცია, კერძოდ სისტემატურად გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები დამსაქმებელთა მოთხოვნების და დარგში არსებული ცვლილებების შესაბამისად; ასევე, განმარტა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია გარკვეულწილად უკავშირდება პირველ რეკომენდაციას, რადგან დამსაქმებლები ითხოვდნენ სწავლის შედეგების სისტემატიურ შემოწმებას მათი თანდასწრებით. უნდა აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულება ხშირად იწვევს დამსაქმებლებს პროგრამის განხილვის კუთხით, თუმცა ამ კუთხით კიდევ უფრო კონკრეტული ნაბიჯებია საჭირო. ასევე, თვითშეფასების დოკუმენტში გასწორდეს

ტექნიკური შეცდომა მისანიჭებელი კვალიფიკაციის ნაწილში, რომელიც მხოლოდ თვითშეფასების ანგარიშში იყო შეცდომით ასახული, რომელიც გასაუბრების დროს აღინიშნა და პროგრამის ხელმძღვანელებისგანაც იყო თანხმობა შეცდომის არსებობასთან დაკავშირებით.
აღნიშნული რეკომენდაციები ეხებოდა პირველ სტანდარტს და ექსპერტთა გადაწყვეტილებით მოცემული სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
მეორე სტანდარტთა მიმართებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ 2.1 ქვესტანდარტთან მიმართებით აქვთ მხოლოდ ერთი რეკომენდაცია, კერძოდ ვებგვერდზე ე.წ. აბიტურიენტების ვებპორტალზე „როგორ ჩავაბარო თქვენთან“ სექცია საჭიროებს განახლებას, კერძოდ, უნდა იქნას გამოქვეყნებული პროგრამებზე დაშვების წინაპირობებიც უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებული პროგრამების დასახელებების ჩამონათვალთან ერთად და უნდა იძლეოდეს შესაბამისი პროგრამის დეტალურ აღწერაზე გადასვლის შესაძლებლობას; 2.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათ შენიშვნა არ ჰქონიათ. რაც შეეხება 2.3 ქვესტანდარტს რეკომენდაციები მდგომარეობს შემდგომში: გადაიხედოს და დაზუსტდეს შემდეგი კურსების სილაბუსები: დაპროგრამების საფუძვლები; ობიექტ - ორიენტირებული პროგრამირება I (c++); ობიექტ - ორიენტირებული პროგრამირება II (C ++); აღნიშნული სილაბუსები საჭიროებს გადახედვას, რადგან იყო გარკვეული თანაკვეთები მათ შორის, რაზეც თანხმობა განაცხადეს სილაბუსების ავტორებმაც. სილაბუსებში მოხდეს ტექნიკური და გრამატიკული შეცდომების გასწორება;
ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა კარგად იყო აგებული, მაგრამ დისციპლინა „ინფორმაციული ტექნოლოგიები მეცნიერებაში“ საჭიროებდა ჩანაცვლებას ან შესაბამისად მოდიფიცირებას, რათა მოხდეს მისი პროგრამასთან შესაბამისობა.
შემდეგი საკითხი ეხება 2.4 ქვესტანდარტს, რომელთან დაკავშირებითაც გაცემულია მხოლოდ ერთი რეკომენდაცია, რაც გულისხმობს სტუდენტთა მეტ ჩართულობას პროექტებში მათი სწავლის საფეხურისა და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად, კვლევითი და პრაქტიკული უნარების გამოსამუშავებლად; სტუდენტების ნაწილი გარკვეულწილად ჩართულია პროექტებში, მაგრამ თუ უნივერსიტეტში ბევრი ღონისძიება და პროექტი ხორციელდება სასარგებლო იქნება სტუდენტთა მეტი ჩართულობა.
შემდეგი საკითხებს წარმოადგენდა სწავლა-სწავლების მეთოდები და სტუდენტების შეფასება, რომელთან დაკავშირებითაც ექსპერტებს რეკომენდაციები არ ჰქონიათ. აქედან გამომდინარე ქვესტანდარტი შეაფასეს, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ექსპერტებმა მეორე სტანდარტის შეაფასეს, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
მესამე სტანდარტი, რომელიც ეხება სტუდენტთა მიღწევებს და მათთან ინდივიდუალურ მუშაობას, 3.1 და 3.2 ქვესტანდარტებთან მიმართებით ექსპერტებს რეკომენდაციები არ ჰქონიათ და აღნიშნული სტანდარტი შეაფასეს, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
მეოთხე სტანდარტის, 4.1 და 4.2 ქვესტანდარტებთან დაკავშირებით ექსპერტებს არ ჰქონდათ რეკომენდაციები, იყო მხოლოდ რჩევა 4.2 ქვესტანდარტთან მიმართებით. რაც შეეხება მატერიალურ რესურს, დაწესებულება ცდილობს რომ უზურუნველყოს შესაბამისი მატერიალური რესურსი, რომელიც აუცილებელია პროგრამის განსახორციელებლად. აღსანიშნავია ის სიახლეები, რომელიც დაწესებულებას დანერგილი აქვს სხვადასხვა საერთაშორისო პროექტების საშუალებით, როგორიც არის ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორია, სადაც შესაძლებელია რომ განხორციელდეს სხვადასხვა ტიპის აქტივობები. აღნიშნულ ნაწილში, 4.3 ქვესტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტებს ჰქონდათ ერთი რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა უნივერსიტეტის ვებგვერდზე ბიბლიოთეკისა და სხვა ინტერნეტ რესურსებით სარგებლობის გაუმჯობესებას;
შემდეგი ქვესტანდარტი 4.4 დაკავშირებით, რომელიც ეხება ბიუჯეტს და ფინანსურ მდგრადობას, ამ ნაწილშიც არ იყო რეკომენდაციები და აქედან გამომდინარე ექსპერტებმა მეოთხე სტანდარტი შეაფასეს, როგორც მოთხოვნებთან შესაბამისი.
მეხუთე სტანდარტთან მიმართებით ექსპერტებს რეკომენდაცია არ ჰქონიათ და შესაბამისად აღნიშნული სტანდარტი შეფასდა, როგორც მოთხოვნებთან შესაბამისი.

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან და მიზნებიდან გამომდინარე, ექსპერტებმა შეიმუშავეს გარკვეული რეკომენდაციები, კერძოდ :

1.გათვალისწინებულ იქნას და აისახოს პროგრამაში/სილაბუსებში შრომის ბაზრის კონკრეტული მოთხოვნები სასწავლო კურსების და/ან თემატიკის სახით;
2. საბაკალავრო პროექტი გახდეს სავალდებულო სასწავლო კურსის შემადგენელი ნაწილი;
3.განხორციელდეს აქტივობები პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით;
4. მოხდეს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის განახლება ვებ გვერდზე;
5.სისტემატურად გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები დამსაქმებელთა მოთხოვნების და დარგში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად;
6.თვითშეფასების დოკუმენტში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა მისანიჭებელი კვალიფიკაციის ნაწილში;
7. ვებგვერდზე ე.წ. აბიტურიენტების ვებპორტალზე „როგორ ჩავაბარო თქვენთან“ სექცია საჭიროებს განახლებას, კერძოდ, უნდა იქნას გამოქვეყნებული პროგრამებზე დაშვების წინაპირობებიც უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებული პროგრამების დასახელებების ჩამონათვალთან ერთად და უნდა იძლეოდეს შესაბამისი პროგრამის დეტალურ აღწერაზე გადასვლის შესაძლებლობას;
8. გადაიხედოს და დაზუსტდეს შემდეგი კურსების სილაბუსები: დაპროგრამების საფუძვლები; ობიექტ - ორიენტირებული პროგრამირება I (c++); ობიექტ - ორიენტირებული პროგრამირება II (C ++);
9. სილაბუსებში მოხდეს ტექნიკური და გრამატიკული შეცდომების გასწორება;
10. მოხდეს საგნის ინფორმაციული ტექნოლოგიები მეცნიერებაში ჩანაცვლება, ან შესაბამისი მოდიფიცირება;
11. სტუდენტთა მეტი ჩართულობა პროექტებში მათი სწავლის საფეხურის და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად, კვლევითი და პრაქტიკული უნარების გამოსამუშავებლად;
12.უნივერსიტეტის ვებგვერდზე ბიბლიოთეკისა და სხვა ინტერნეტრესურსებით სარგებლობის გაუმჯობესება;
13. კმაყოფილების კვლევის კითხვარებში ცალკე ბლოკი მიეძღვნას მაინორის შედეგების შეფასებას და კვლევას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორმა გამოთქვა მზაობა შემდეგი რეკომენდაციების შესასრულებლად:
ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს უნივერსიტეტის მიერ გაფორმებული ორი მემორანდუმი, პოლონეთის ადამ მიცკევიჩის სახელობის უნივერსიტეტთან და თურქეთის ტექნიკურ უნივერსიტეტთან.
რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას, გათვალისწინებულ იქნას და აისახოს პროგრამაში/სილაბუსებში შრომის ბაზრის კონკრეტული მოთხოვნები სასწავლო კურსების და/ან თემატიკის სახით; რექტორმა განმარტა, რომ ის სილაბუსები, რომლებიც პროგრამაშია ჩართული საკმაოდ პრაქტიკული და პრაგმატული ხასიათისაა. შესაბამისად უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პრაქტიკული მუშაობების ჩასატარებლად სწორედ დამსაქმებლების მოწვევას.
შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ისაუბრა პროგრამის ხელმძღვანელმა და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ, რეკომენდაციების გათვალისწინების შედეგად დაწესებულებამ შეიმუშავა ორი ახალი სილაბუსი, ,,გეოსაინფორმაციო სისტემები და საბაზისო საოპერაციო კურსი“ და ,,GPS აპარატის კურსი“, რომლის შემუშავებაშიც ჩაერთვნენ არა მარტო დამსაქმებლები, არამედ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორებიც. გარდა

ამისა, დაწესებულებამ სრულიად გაითვალისწინა მიცემული რეკომენდაცია და შესაბამისად, საბაკალავრო პროექტი გახდა პროგრამის სავალდებულო ელემენტი. ასევე, თეორიული საგანი ,,ინფორმაციული ტექნოლოგიები მეცნიერებაში“ ჩანაცვლდა, საგნით, ,,მათემატიკური დაპროგრამება“.
ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2020 წლის 29 მაისს უნივერსიტეტში ჩატარდა რესპუბლიკური კონფერენცია, სადაც პოლონეთის უნივერსიტეტის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. სწორედ აქედან გაჩნდა იდეა საერთაშორისო კონფერენციის ჩატარების, რომლის განხორციელებასაც უნივერსიტეტის გეგმავს. რაც შეეხება ვებ-გვერდთან დაკავშრებით არსებულ რეკომენდაციებს, დაწესებულება მზადაა აღმოფხვრას აღნიშნული ხარვეზები და მოახდინოს ინფორმაციის შევსება. ამ ეტაპზე უნივერსიტეტმა გაატარა გარკვეული ცვლილებები და დახვეწა ვებ-გვერდთან მიმართებით არსებული მდგომარეობა. გამოსწორებულია სილაბუსში არსებული ტექნიკური ხარვეზები. ასევე, უნივერსიტეტი სტუდენტთა ჩართულობისთვის გეგმავს სხვადასხვა ტრენინგებსა და სამუშაოებს. რაც შეეხება რჩევას, რომელიც ეხებოდა საინფორმაციო ტექნოლოგიების თანამედროვე მიღწევებს, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ შეიძინა ორი ახალი პროგრამა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაესვათ კითხვები ან გამოეთქვათ მოსაზრებები

საბჭოს მდივანმა, ნიკა თიკანაშვილმა აღნიშნა, რომ თვითშეფასების დოკუმენტში მოცემული შედეგების მიხედვით სტუდენტების მიღება იზრდება, რაც გულისხმობს სტუდენტების მხრიდან ინტერესს და ასევე, ყურადღება გაამახვილა, რომ კარგი მაჩვენებელია დასაქმებასთან მიმართებითაც. საბჭოს წევრი დაინტერესდა, კონკრეტულად სად ხდება სტუდენტთა დასაქმება. მან ასევე ისაუბრა გაცვლით პროგრამებზე და დაინტერესდა საზღვარგარეთ გავლილი საგნების კრედიტების აღიარების საკითხით.
დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ სტუდენტების მიღების მაჩვენებელი ნამდვილად იზრდება ასევე, განმარტა, რომ პროგრამა თავისი შინაარსიდან გამომდინარე იძლევა ონლაინ მუშაობის საშუალება, შესაბამისად სტუდენტებს შეუძლიათ ერთდროულად რამდენიმე ადგილას დასაქმება, რაც მოიცავს როგორც რეგიონს, ასევე დედაქალაქს. აღნიშნული პროგრამა სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას დასაქმდნენ მთელი საქართველოს მასშტაბით, ისე, რომ არ დატოვონ რეგიონი.
რაც შეეხება გაცვლით პროგრამებსა და კრედიტების აღიარებას, ამ შემთხვევაში უმთავრესი საკითხი სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებაა. სტუდენტი გაცვლით პროგრამაზე წასვლამდე ინფორმირებულია კრედიტების რაოდენობისა და აღიარების შესახებ. დაწესებულება მუდმივად უზრუნველყოფს სტუდენტების ისეთ პროგრამაზე გაშვებას, სადაც მათ კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებით არ შეექმნებათ პრობლემა, შესაბამისად სტუდენტი წასვლამდე ფლობს ინფორმაციას კრედიტებთან დაკავშირებით, რომლებიც შემდგომ უღიარდება.
საბჭოს მდივანმა, ნიკა თიკანაშვილმა ექსპერტებს მიმართა კითხვით, ჰქონდათ თუ არა ექსპერტებს საგნის - ,,ინფორმაციული ტექნოლოგიები მეცნიერებაში“ ცვლილებასთან დაკავშირებით გარკვეული შეთავაზებები, თუ რა კუთხით შეიძლებოდა მოცემული დისციპლინის მოდიფიცირება. გარდა ამისა, პროგრამაში ცალკე გაწერილი არ არის მატ ლაბი ?, მოცემულია მხოლოდ საფუძვლები დაპროგრამების მიმართულებით, შესაბამისად მნიშვნელოვანია ამ საკითხთან მიმართებით არსებული რეკომენდაციებიც. საბჭოს მდივანმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულება თავის მხრივ თვითშეფასებაში ეხმიანება ყველა რჩევასა და რეკომენდაციას, თუმცა არის საკითხები, რომლებიც რჩევასა და რეკომენდაციაში მეორდება და მოითხოვა ბოლო რეკომენდაციის განმარტება. აქვე აღნიშნა მე-4, მე-5 და მე-7 რეკომენდაციებთან მიმართებით, რომ თავისი შინაარსიდან გამომდინარე მოცემული რეკომენდაციები უშუალოდ ავტორიზაციის საკითხებს ეხება.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა სასწავლო კურსთან ,,ინფორმაციული ტექნოლოგიები მეცნიერებაში“ მიმართებით განმარტა, რომ აღნიშნული დისციპლინა არ იყო კავშირში პროგრამის სხვა შემადგენელ კურსებთან და შესაბამისად გაცემული იქნა მისი შეცვლის რეკომენდაცია. გარდა ამისა, საგანი იყო საკმაოდ ზოგადი ხასიათის და პრაქტიკული კომპონენტების დამატება უნივერსიტეტის მიერ საკმაოდ გონივრულ გადაწყვეტილებას წარმოადგენს.

დაპროგრამების ნაწილთან დაკავშირებით ექსპერტებმა აქცენტი გააკეთეს უშუალოდ პროგრამირების ნაწილზე. აღნიშნული პროგრამიდან გამომდინარე საკმაოდ მნიშვნელოვანია სწავლების პრაქტიკული ნაწილი, სწორედ ამიტომ რეკომენდაცია იყო GIS საბაზო კურსისა და აუცილებელი აპარატურის გასაცნობად საბაზისო კურსების დანერგვა. რაც შეეხება მატ ლაბს, ის ძირითადად გამოიყენება აკადემიური და სამეცნიერო მუშაობების დროს.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ სასწავლო კურსის სილაბუსებში, დაპროგრამების საფუძვლები და ობიექტ - ორიენტირებული პროგრამირება I (c++) ძირითადი საკითხები მეორდება. გარდა ამისა მან დააზუსტა თუ რას გულისხმობდა პრეზენტაციის კომპონენტი, რომელიც მოცემულია ,,დაპროგრამირების“ სილაბუსში. საბჭოს წევრმა განმარტა, რომ უმჯობესია პრეზენტაციის ქულები გადანაწილდეს სხვა შეფასების კომპონენტებზე. ასევე ,,მათემატიკური დაპროგრამების“ მაგივრად, უმჯობესია ისწავლებოდეს ,,ოპერაციათა კვლევა“, ვინაიდან აღნიშნული კურსი მოიცავს მათემატიკური დაპროგრამების ძირითად და მნიშვნელოვან საკითხებს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პრეზენტაციის ფარგლებში სტუდენტები წარმოადგენენ ერთ სრულ პროგრამულ კოდს.

საბჭოს წევრი თამარ ტუფინაშვილმა დაინტერესდა საბაკალავრო ნაშრომთან მიმართებით არსებული ცვლილებებისა და პრაქტიკის შესახებ. გარდა ამისა, ვინაიდან მოხდა დარგობრივი სტანდარტის საჯაროდ განხილვა, სავარაუდოდ აღნიშნული გამოიწვევს პროგრამის სტრუქტურის ცვლილებას. საბჭოს წევრმა ასევე დააზუსტა, შედეგების შეფასებაში მოცემული კრებსითი გამოცდის მნიშვნელობაც.

პროგრამის ხელმძღვანელმა კრებსით გამოცდასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ის ითვალისწინებს იმ საგნების ბლოკის ერთიან ტესტს, რომლებიც შედეგებზე გადიან. მაგალითად, მე-3 შედეგი წარმოადგენს მათემატიკის ბლოკს, საიდანაც აკადემიურმა პერსონალმა შეადგინა 100 ქულიანი ტესტი, რომლის შედეგებიდან გამომდინარეც დადგინდა თუ რამდენად იყო შესაბამისობაში პროგრამის შედეგები. აქედან გამომდინარე, კრებსითი გამოცდა შედეგების შეფასების მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. რაც შეეხება საბაკალავრო პროექტს, პროგრამიდან გამომდინარე ის სავალდებულო გახდა.

დაწესებულების რექტორმა ასევ განმარტა, რომ ვინაიდან არსებობს ტენდენცია დარგობრივი მახასიათებლების შექმნის და შესაბამისად მნიშვნელოვანია დარგობრივი საგნების რაოდენობის გაზრდა, დაწესებულებამ მოდერნიზაციის გამარტივების მიზნით გარკვეული ცვლილებები გაატარა. პროგრამა თავისთავად გულისხმობს Mainor პროგრამის არსებობას. ხოლო თუ დადგინდა, რომ ვერ ხერხდება დარგობრივი მახასიათებლით მოთხოვნილი პროცენტის დაკმაყოფილება, უნივერსიტეტმა მიიღო ზოგადი რეგულაცია, რომლის მიხედვითაც თითოეულ პროგრამას, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, კერძოდ: ან წარმოადგენდეს Mainor პროგრამას, ან 60 კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შესთავაზოს დარგობრივი საგნები. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს შექმნილი ხარისხის უზრუნველყოფის გზამკვლევი, რომელშიც მოცემულია ყველა იმ კვლევების ჩამონათვალი, რომლითაც ხდება ხარისხის მექანიზმების შემოწმება. მნიშვნელოვანია ასევე, რომ ბაკალავრების სწავლების კითხვარს მოდულის სახით დაერთო დამატებითი პროგრამები.

უნივერსიტეტში პროგრამების უმეტესობას აკრედიტაცია მიღებული აქვს 2012 წელს, შესაბამისად პროგრამების განახლება და დახვეწა დღემდე ეტაპობრივად მიმდინარეობს. ყველა პროგრამას რომელიც განთავსებულია კატალოგში, მითითებული აქვს ავტორიზაციისა და

აკრედიტაციის თარიღები. მიღებული რეკომენდაციის შესაბამისად, კატალოგი ჩანაცვლდა ახალი პროგრამით.
რაც შეეხება თვითშეფასების ფორმას, 2020 წლის 5 თებერვალს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან დაწესებულებამ მიიღო წერილი თვითშეფასებაში არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებით. შესაბამისად, 10 თებერვალს უნივერსიტეტმა წარადგინა ახალი თვითშეფასება, რომელშიც ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების" მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესწორდა ქართულ და ინგლისურ ენებზე.
საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ პროგრამის და კვალიფიკაციის შინაარსიდან გამომდინარე სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ გლობალურ შრომით ბაზარში. შესაბამისად, უმჯობესია ერთი ენის, კერძოდ ინგლისურის სწავლება, რადგან ის მეტად გლობალურს ენას წარმოადგენს. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამას აკლია უსაფრთხოების საკითხები და დააზუსტა, თუ რა პროექტების გაკეთება იგეგმება საბაკალავრო პროექტის ფარგლებში.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ისაუბრა საბაკალავრო პროექტზე, კერძოდ აღნიშნა, რომ საბაკალავრო პროექტის ფარგლებში ზოგადი სახით გაწერილია პროექტთა ჩამონათვალი და არ არის მითითებული კონკრეტული აქტივობები.
დაწესებულის წარმომადგენელმა პროექტებთან დაკავშირებით განმარტა, რომ სტუდენტების პირველი დამსაქმებელი თავად უნივერსიტეტია, რადგან ის სთავაზობს სხვადასხვა პროექტების შექმნას. დაწესებულების რექტორმა აღნიშნა, რომ არქივის პროგრამისა და moodl -ის დაკავშირებას სწორედ დაწესებულების სტუდენტები უზრუნველყოფენ. უნივერსიტეტი ასევე გეგმავს ონლაინ სწავლების პლატფორმის შექმნას, სადაც ასევე სტუდენტები იქნებიან ჩართულნი. შესაბამისად, საბაკალავრო პროექტიდან გამომდინარე სტუდენტები იმუშავებენ გარკვეული პროგრამების, ბაზებისა და ვეგ-გვერდების შექმნაზე.
რაც შეეხება ,,ინფორმაციის უსაფრთხოების ტექნოლოგიებს", უნივერსიტეტში არსებობდა აღნიშნული სილაბუსი, მაგრამ მოხდა მისი მოდერნიზება და განხორციელდა მეორე სილაბუსის ,,კიბერუსაფრთხოების" დამატება.
საბჭოს წევრმა, ნინო დობორჯგინიძემ ისაუბრა ძირითადი სასწავლო კურსის სილაბუსზე, კერძოდ, ,,ფილოსოფიაზე" და აღნიშნა, რომ საგნის სწავლების მიზნები არ შეესაბამება თავად სილაბუსს, აქედან გამომდინარე, აუცილებელია, სილაბუსის შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს მის შედეგებთან.
დაწესებულება აღნიშნა, რომ მაქსიმალურად მოხდება მოცემული რჩევის გათვალისწინება და შესაბამისი ცვლილებების გატარება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:47
დასრულების დრო: 16:08

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთ წელიწადში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასებები და განსაზღვრა შემდეგი რჩევები და რეკომენდაციები:

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) განხორციელდეს აქტივობები პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით;

ბ) სისტემატურად გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები დამსაქმებელთა მოთხოვნების და დარგში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად;

გ) თვითშეფასების დოკუმენტში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა მისანიჭებელი კვალიფიკაციის ნაწილში;

დ) გადაიხედოს და დაზუსტდეს შემდეგი კურსების სილაბუსები: დაპროგრამების საფუძვლები; ობიექტ - ორიენტირებული პროგრამირება I (c++); ობიექტ - ორიენტირებული პროგრამირება II (C ++);

ე) სილაბუსებში მოხდეს ტექნიკური და გრამატიკული შეცდომების გასწორება;

ვ) მოხდეს საგნის ინფორმაციული ტექნოლოგიები მეცნიერებაში ჩანაცვლება, ან შესაბამისი მოდიფიცირება;

ზ) სტუდენტთა მეტი ჩართულობა პროექტებში მათი სწავლის საფეხურის და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად, კვლევითი და პრაქტიკული უნარების გამოსამუშავებლად;

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რჩევები:

ა) მოხდეს საგანამათალებლო პროგრამების კატალოგის განახლება ვებ გვერდზე;

ბ) ვებ გვერდზე ე.წ. აბიტურიენტების ვებ პორტალზე „როგორ ჩავაბარო თქვენთან“ სექცია საჭიროებს განახლებას, კერძოდ, უნდა იქნას გამოქვეყნებული პროგრამებზე დაშვების წინაპირობებიც უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებული პროგრამების დასახელებების ჩამონათვალთან ერთად და უნდა იძლეოდეს შესაბამისი პროგრამის დეტალურ აღწერაზე გადასვლის შესაძლებლობას;

გ) პროგრამის პრაქტიკული ხასიათიდან გამომდინარე, სასურველია პროექტი იყოს სავალდებულო სახით;

დ) უნივერსიტეტის ვებგვერდზე ბიბლიოთეკისა და სხვა ინტერნეტრესურსებით სარგებლობის გაუმჯობესება;

ე)კმაყოფილების კვლევის კითხვარებში ცალკე ბლოკი მიეძღვნას მაინორის შედეგების შეფასებას და კვლევას

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტ ების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 1 წელიწადში ანგარიშის წარმოდგენით.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სტომატოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N362. 25.11.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული სტომატოლოგი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0911 დენტალური მედიცინა
12	კვალიფიკაციის კოდი	0911
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	300
15	განხორციელების ადგილი	ნინოშვილის/ რუსთაველის ქუჩა, N35/32, II კორპ. III სართ. ბათუმი, 6010, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

16:10 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა ირმა წერეთელმა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდა 2020 წლის 16 ივნისს. ვიზიტის დროს შედგა ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს ფაკულტეტის სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, სასწავლო კლინიკური ბაზები, ბიბლიოთეკა. ინტერვიუების პროცესი მიმდინარეობდა შეუფერხებლად, მშვიდ და კოლეგიალურ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.
ექსპერტმა სტანდარტებთან მიმართებით განმარტა, რომ აკრედიტაციის ხუთი სტანდარტიდან I და II სტანდარტები მეტწილად შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან, ხოლო III, IV და V სტანდარტები მოთხოვნებთან შესაბამისობას , კერძოდ, 2.1, 2.2, 2.2, 2.4, 2.6, 3.1, 4.1, 4.2, და 4.4 შესაბამისობაშია, ხოლო 1.1, 1.2, 2.3, 2.4, და 4.3 მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან და მიზნებიდან გამომდინარე, ექსპერტებმა შეიმუშავეს გარკვეული რეკომენდაციები, კერძოდ :

1.ფართოდ დაინერგოს და განხორციელდეს პრაქტიკული კომპონენტი გამოცდებზე.
2. უფრო ღრმად განხორციელდეს ინტეგრირებული სწავლება. დაინერგოს ვერტიკალური და სპირალური ინტეგრაციები;
3. პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების დეტალური კონკრეტიზაცია;
4. საგანს „პრეკლინიკური ოდონტოლოგია“ (3 სემესტრი) დაემატოს წინაპირობად „ადამიანის ნორმალური ანატომია II“ (2 სემესტრი);
5. საგანს „სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკა“ (4 სემესტრი) დაემატოს წინაპირობად „ადამიანის ნორმალური ანატომია II“ (2 სემესტრი) და „ადამიანის ნორმალური ფიზიოლოგიის საფუძვლები“ (3 სემესტრი);
6. პაციენტების მიღება კლინიკურ საგნებში გახდეს სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი;
7. გაიზარდოს სტუდენტთა უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტებთან, სილაბუსებში გაიწეროს და დაკონკრეტდეს პაციენტებზე ჩასატარებელი მანიპულაციების კონკრეტული რაოდენობა; 8. პროგრამის ხელმძღვანელს მიეცეს უფლება კლინიკურ საგნებში დარგის სპეციფიკიდან და პაციენტებზე ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობებიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად განსაზღვროს ჯგუფში სტუდენტების რაოდენობა;
9. კლინიკურ საგნებში პაციენტებთან მეტი კომუნიკაცია და პრაქტიკული მუშაობა ექიმი სტომატოლოგის, პროფესორ მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ იყოს სავალდებულო;
10. სტუდენტების რაოდენობასთან შესაბამისობაში იყო ტექნიკურ-მატერიალური ბაზა.

ექსპერტთა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ ჰქონდათ შემდეგი რჩევები:

1. პირველი, ეს იყო ქართულენოვან ლიტერატურის სიმწირესთან დაკავშირებით
2. მეორე, საერთაშორისო ექსპერტების ჩართვა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში;
3. პერიოდულად მოხდეს პროგრამის შედარება უცხო ქვეყნის წამყვანი უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან;
4. სასურველია სასწავლო პროგრამას დაემატოს ისეთი დისციპლინები, როგორიც არის გეროდონტოლოგია, სტომატოლოგიური მასალათმცოდნეობა, შშმ პირების სტომატოლოგიური დახმარების მენეჯმენტი.
5. ასევე, სასურველია გაიზარდოს ინტერნაციონალიზაციის საკითხი, რაც სტუდენტის კარიერული წინსვლისთვის მნიშვნელოვანია.

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენემა აღნიშნა, რომ წინა აკრედიტაციის, 2011 წლის შემდეგ, დაწესებულებამ განახორციელა მნიშვნელოვანი ცვლილებები აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით.

სხდომის თავჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა წარმოედგინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პირველი რეკომენდაციის შესაბამისად, შეფასების სისტემაში შეტანილია ობიექტურად სტრუქტურირებადი OSCE გამოცდები, თუმცა გამოცდის აღნიშნული ფორმა ძირითადად სწავლების IX და X სემესტრებშია გათვალისწინებული, ხოლო ზოგიერთი პრე-კლინიკური სასწავლო კურსი ითვალისწინებს OSPE-ის გამოცდას. ასევე, პრაქტიკული კომპონენტი ფასდება მიმდინარე შეფასების პერიოდშიც. თუმცა, გათვალისწინებული იქნება აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია გამოცდაზე პრაქტიკული კომპონენტის უფრო მეტად დანერგვის შესახებ.

რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას, მნიშვნელოვანია, რომ საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ინტეგრირებულ სასწავლო კომპონენტებს. დაწესებულება ეთანხმება ექსპერტთა რეკომენდაციას პრაქტიკული კომპონენტის უფრო ფართოდ დანერგვის შესახებ.

მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნება იმ სასწავლო კურსებში, რომლებიც მოიცავს პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასებას.

მეოთხე რეკომენდაციასთან მიმართებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სასწავლო კურსი „პრეკლინიკური ოდონტოლოგია“ მრავალ სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს პირის ღრუს ანატომიას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კურსის ფარგლებში კბილების აგებულება გაცილებით უფრო დეტალურად განიხილება (კბილების ფორმა, ზედაპირები, ბორცვები, ფისურები, ფესვები, ფორმულები და ა. შ.), რაც ზოგადი ანატომიის კურსში ამ ფორმით არ განიხილება. ზოგადი ანატომიის სხვა საკითხები ნაკლებად არის შემხებლობაში აღნიშნულ სასწავლო კურსთან.

დაწესებულებამ სრულიად გაიზიარა მე-5 რეკომენდაცია, კერძოდ, „სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის“ სასწავლო კურსის წინაპირობად „ადამიანის ნორმალური ფიზიოლოგიის საფუძვლების“ განსაზღვრა.

მე-6, მე-7 და მე-8 რეკომენდაციებთან დაკავშრებით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ „საექიმო საქმიანობის შესახებ“ კანონის მიხედვით, პაციენტის მიღება მისი ინფორმირებული თანხმობის გარეშე შეუძლებელია. თუმცა, ერთ-ერთ საუნივერსიტეტო კლინიკაში, კლინიკურ სასწავლო კურსების ფარგლებში სტუდენტის მიერ პაციენტის მიღება ფრაგმენტულად ხდებოდა, რაც დღესაც მიმდინარეობს, მაგრამ აღნიშნული დამოკიდებული იყო პაციენტის ნებაზე. რაც შეეხება პროფესორ მასწავლებლის ზედამხედველობა სტუდენტის პრაქტიკულ მუშაობაზე კლინიკური სწავლების პროცესში აუცილებელ ვალდებულებას წარმოადგენს და პრაქტიკაც ამ ფორმით ხორციელდება. აღნიშნული სამი რეკომენდაცია მისაღები და განხორციელებადია, რომლებიც შესაძლებლობის ფარგლებში გათვალისწინებული იქნება შესაბამის კლინიკურ სასწავლო კურსებში.

რაც შეეხება მე-9 რეკომენდაციას, დაწესებულების წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც ეხება ჯგუფში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრას, ჯანდაცვის სპეციალობით კლინიკურ სასწავლო კურსებში სტუდენტთა რაოდენობა სხვა მიმართულებებისგან განსხვავებით ნაკლებია. მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის საფუძველზე, ჯანდაცვის მიმართულებით საგანმანათლებლო დაწესებულების ყველა სასწავლო პროგრამაში გათვალისწინებულია ჯგუფებში სტუდენტთა რაოდენობის შემცირება. შესაბამისად, აღნიშნული შეზღუდვა გავრცელდება სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაზეც.
ტექნიკურ ბაზებთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება მუდმივად მიმდინარეობს. რაც შეეხება ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნას „საფანტომო იმპლანტაციის“ სასწავლო კურსთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა: „სწავლების ბოლო ეტაპზე ისწავლება საფანტომო იმპლანტაცია, შესაბამისი მულაჟი ვერ მოვიპოვეთ როგორც ადგილზე, ასევე შესყიდვების ფურცელში“ (პუნქტი 4.3). დაწესებულებას შეთანხმების საფუძველზე გადაეცა 5 ცალი ყბის მულაჟი, 15 ცალი ,,MIS“-ის ფირმის სასწავლო იმპლანტი „საფანტომო იმპლანტაციის“ სასწავლო კურსისთვის. ერთ-ერთი კლინიკა პასუხისმგებლობას იღებს სასწავლო კურსი ყოველწლიურად მოამარაგოს სათანადო სასწავლო ფანტომებით, მულაჟებით და სხვა მასალებით. „საფანტომო იმპლანტაციის“ სასწავლო კურსისათვის კლინიკას აქვს მაღალი ხარისხის ფიზიო-დისპენსერის აპარატი, იმპლანტების ჩასახრახნი მოწყობილობა და სხვა საჭირო ქირურგიული ინსტრუმენტები. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ყოველწლიურად ხორციელდება და მომავალშიც იგეგმება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაესვათ კითხვები ან გამოეთქვათ მოსაზრებები

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ აღნიშნა, რომ პროგრამა საჭიროებს კლინიკური კომპონენტის გაძლიერებას, ყურადღებას იქცევს თეორიული კომპონენტის პრევალირება (იმ ფაქტის გათავალისწინებით, რომ სტომატოლოგია პრაქტიკული დარგია და კურსამთავრებულებს მოეთხოვებათ მთელი რიგი პრაქტიკული უნარ-ჩვევები). სწავლების და სწავლის მეთოდებში მითითებულია ერთიდაიგივე არსის მქონე მეთოდები სხვადასხვა დასახელებით (მაგ., „გონებრივი იერიში“, „ვიცი, მინდა ვიცოდე, ვისწავლე“, I.N.S.E.R.T. - რაც ფაქტობრივად PBL - პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის, ანალოგებია და გამოიყენება სწავლების საბაზისო ეტაპზე; კლინიკურ ეტაპზე სწავლების ერთ-ერთი ძირითადი მეთოდი უნდა იყოს „შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება“ – CBL).). დემონსტრირების მეთოდი სინამდვილეში უნარია და არა სწავლების მეთოდი, ხოლო ამ უნარის შეფასება ხდება შესაბამისი მეთოდოლოგიით (პირველ რიგში, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდით - OSCE). ასევე დემონსტრირებასთან დაკავშირებით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ პროფესორი ახდენს გარკვეული პრაქტიკული პროცედურის დემონსტრირებას, ცოლო სტუდენტები ამას მხოლოდ აკვირდებიან (სინამდვილეში სტუდენტები უნდა ვვარჯიშობდენე სიმულატორებზე და მულაჟებზე და შემდეგ მოახდინონ სათანადო პრაქტიკული უნარის დემონსტრირება). საბჭოს წევრმა ასევე ისაუბრა ,,გადაუდებელი სამედიცინო დახმარების“ სილაბუსზე და განმარტა, რომ საგნის პრაქტიკული ხასიათის მიუხედავად, სილაბუსი მეტეწილად თეორიულ სწავლებაზეა ორიენტირებული. საბჭოს წევრმა ყურადღება გაამახვილა ,,კლინიკური უნარების“ სილაბუსზე და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია მისი თავიდან ჩამოყალიბება და დახვეწა (ქულების მინიჭების თვალსაზრისით).სილაბუსში „ზოგადი ფარმაკოლოგიის საფუძვლები“ მითითებულია მოძველებული და ქართულად ნათარგმნი რუსულენოვანი სახელმძღვანელოები (დ.ა. ხარკევიჩი – " ფარმაკოლოგია" 2008 წ. 2. გ. თურამანაული -

"სამედიცინო ფარმაკოლოგია" I- ტომი. II- ტომი. თბილისი–199), მაშინ, როცა ქართულ ენაზე ნათარგმნი და გამოცემულია კაცუნგის საერთაშორისოდ აღიარებული სახელმძღვანელო ზოგად და კერძო ფარმაკოლოგიაში.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სწავლა-სწავლების მეთოდებში არსებული ჩამონათვალი სასწავლო კურსების სილაბუსებიდან გამომდინარეობს. პროგრამიდან გამომდინარე მე-9 და მე-10 სემესტრში სტუდენტებს გადიან გაძლიერებული პრაქტიკის კურსს. შესაბამისად, შეფასებაც მიმდინარე სემესტრებში გაძლიერებულია და ხდება OSCE გამოყენება. რეკომენდაციებიდან და გამოკითხვიდან გამომდინარე დღის წესრიგში დადგა პრაქტიკული სამუშაოების რაოდენობის გაზრდის საკითხი, რაც უნივერსიტეტმა გაითვალისწინა და შესაბამისად, პროგრამას დაემატა გარკვეული პრაქტიკული კურსები. დაწესებულება მზადაა გაითვალისწინოს ნებისმიერი რჩევა და რეკომენდაცია, რის შედეგადაც უზრუნველყოფს აუცილებელი ცვლილებების გატარებას.
ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტს აქვს თავისი კლინიკური ბაზა და შესაბამისი რესურსი, რათა სასწავლო პროცესის პერიოდში უზრუნველყოს სტუდენტების მაქსიმალური ჩართვა პრაქტიკულ სამუშაოებში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მაღალ კურსებზე პრაქტიკული სამუშაოებისა და აუცილებელი მანიპულაციების განხორციელებისათვის სავალდებულო ხასიათის მიცემა.
ფაკულტეტის დეკანმა ყურადღება გაამახვილა პრაქტიკულ კომპონენტზე და აღნიშნა, რომ პროგრამიდან გამომდინარე, საათების უმეტესობა ეთმობა პრაქტიკულ სამუშაოებს, ამის მიუხედავად აუცილებლად იქნება გათვალისწინებული ექსპერტთა და საბჭოს წევრთა რეკომენდაციები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ასევე, ყურადღება გაამახვილა, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფილია კლინიკით, სადაც სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ლექტორის ხელმძღვანელობით განახორციელონ მნიშვნელოვანი მანიპულაციები.
სხდომის თავმჯდომარემ, დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ პროგრამა აკრედიტაციაზე შემოტანილია კვალიფიკაციის ახალი ჩარჩოს მიხედვით, მაშინ, როცა შედეგები წარმოდგენილია ძველი კვალიფიკაციის ჩარჩოს გათვალისწინებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სწავლის შედეგები იმ სამ კომპეტენციაზეა დამოკიდებული, რომელიც პროგრამის მიხედვით არის გათვალისწინებული. პროგრამაში არ არის გამოყოფილი თითოეული კომპონენტის სათაური, თუმცა მოცემულია შინაარსობრივი ბმა, რომელიც შემდგომ მიუთითებს შედეგებზე.
საბჭოს წევრმა, ნიკოლოზ კიკნაძემ მოითხოვა მე-2 რჩევის დაზუსტება, კერძოდ რა მოდულები არის გათვალისწინებული პროგრამის მიხედვით.
აღნიშნულთან დაკავშრებით, პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ პროგრამის მიხედვით გათვალისწინებულია შემდეგი მოდულები: ,,ჰისტოლოგია“, ,,ციტოლოგია“ და ,,ემბრიონოლოგია“, რომლებსაც დაემატა სტომატოლოგიის ნაწილი, კერძოდ: ,,პირის ღრუს ქსოვილების ჰისტოლოგია“; ,,ემბრიონოლოგია“ გადავიდა ,,მორფოლოგიის“ მოდულში. გამოყოფილია ასევე ონკოლოგიის მოდული, რომელიც აერთიანებს როგორც, ზოგად ონკოლოგიას, ასევე ყბა-სახის ონკოლოგიას. მოცემულია ,,იმპლანტოლოგიის“ მოდული, რომელიც მოიცავს ,,ქირურგიულ სტომატოლოგიასა“ და ,,ორთოპედიულ სტომატოლოგიას“. პროგრამაში ასევე ასახულია ,,საფანტომო იმპლანტაცია“. პროგრამის ფარგლებში მოხდა საგნების გაერთიანება, რათა ადგილი არ ჰქონდა ფრაგმენტულ სწავლებას. პროგრამაში ასახულია თითოეული მოდულის შედეგი.
ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ შედეგები, რომელზეც გადის პროგრამა სილაბუსებში დეტალურად არის გაწერილი. რჩევის მიზანს წარმოადგენდა სპეციფიური, დარგობრივი საგნების მეტად წარმოჩენა პროგრამის შედეგებში, რადგან აღნიშნული სწავლება ნამდვილად მიმდინარეობის სხვადსხვა საგნების სილაბუსების გათვალისწინებით. ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ ტერმინი მოდული აღნიშნულ შემთხვევაში განსაზღვრავს ინტეგრირებულ სასწავლო დისციპლინას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:58
დასრულების დრო:17:08

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის 2 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
საბჭოს ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში მოცემული შეფასება, საბჭოს მიაჩინია, რომ აკრედიტაციის დებულების მე-2 სტანდარტის შეფასება ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.
რეკომენდაციები

ა) ფართოდ დაინერგოს და განხორციელდეს პრაქტიკული კომპონენტი გამოცდებზე;
ბ) უფრო ღრმად განხორციელდეს ინტეგრირებული სწავლება დაინერგოს ვერტიკალური და სპირალური ინტეგრაციები;
გ) პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების დეტალური კონკრეტიზაცია;
დ) საგანს „პრეკლინიკური ოდონტოლოგია“ (3 სემესტრი) დაემატოს წინაპირობად „ადამიანის ნორმალური ანატომია II“ (2 სემესტრი);
ე) საგანს „სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკა“ (4 სემესტრი) დაემატოს წინაპირობად „ადამიანის ნორმალური ანატომია II“ (2 სემესტრი) და „ადამიანის ნორმალური ფიზიოლგოიის საფუძვლები“ (3 სემესტრი);
ვ) პაციენტების მიღება კლინიკურ საგნებში გახდეს სავალდებულო და არა ნებაყოფლობითი;
ზ) გაიზარდოს სტუდენტთა უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტებთან, სილაბუსებში გაიწეროს და დაკონკრეტდეს პაციენტებზე ჩასატარებელი მანიპულაციების კონკრეტული რაოდენობა;
თ) პროგრამის ხელმძღვანელს მიეცეს უფლება კლინიკურ საგნებში დარგის სპეციფიკიდან და პაციენტებზე ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობებიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად განსაზღვროს ჯგუფში სტუდენტების რაოდენობა;
ი)კლინიკურ საგნებში პაციენტებთან მეტი კომუნიკაცია და პრაქტიკული მუშაობა ექიმი სტომატოლოგის, პროფესორ მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ იყოს სავალდებულო;
კ) სტუდენტების რაოდენობასთან შესაბამისობაში იყო ტექნიკურ-მატერიალური ბაზა.
ლ)პროგრამაში დაზუსტდეს და მითითებული იყოს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სწავლების მეთოდები; ამასთან, გაიმიჯნოს თეორიული და კლინიკური დისციპლინების სწავლებიის მეთოდოლოგია.
მ) პროგრამაში გაძლიერდეს კლინიკური კომპონენტი;
ნ) OSCE-ის მეთოდის გამოყენებისას დაიხვეწოს ქულების მინიჭების მეთოდი (სადგურებზე მოხემული დავალების მნიშვნელობის გათვალისწინებით);
ო) შესწორდეს სილაბუსები - „კლინიკური უნარები“ (შეფასების თვალსაზრისით) და „ზოგადი ფარმაკოლოგია“ (მითითებულია მოძველებული სასწავლო ლიტერატურა).
პ) საგანმანთლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების გაწერის დროს ავტორებმა გამოიყენონ ბლუმის ტაქსონომიის მიდგომები (ზმნები).

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^2 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-3 პუნქტის და 3^2 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის,მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

5. **მეხუთე საკითხი:** შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „დიპლომირებული სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომირებული სტომატოლოგი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N252 04.11.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული სტომატოლოგი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0911 დენტალური მედიცინა
12	კვალიფიკაციის კოდი	0911
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	300
15	განხორციელების ადგილი	ირინა ენუქიძის ქუჩა, N3, თბილისი, 0159, საქართველო/ ჯანო ბაგრატიონის ქუჩა N6, თბილისი, 0160, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა- დიმიტრი გეგენავამ.
საფუძველი- დაწესებულებასთან შრომითი ხელშეკრულების არსებობა.

17:10 საბჭო დატოვა გურანდა ჭელიძემ.
17:12 საბჭო დატოვა დიმიტრი გეგენავამ.

მეხუთე საკითხის განსახილველად საბჭომ აკრედიტაციის დებულების 27[2]მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე თავჯდომარედ აირჩია საბჭოს წევრი - თამარ ტუფინაშვილი.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი შედგა 2020 წლის 2 ივლისს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს წინასწარ გაეგზავნათ უნივერსიტეტიდან დოკუმენტაცია. დამატებითი საბუთები და მასალები, მოთხოვნის შემდგომ გადაეცათ ადგილზე. სამუშაო გარემო იყო თანამშრომლობითი, შეფასების პროცესმა ჩაიარა კომფორტულ ვითარებაში.
ექსპერტთა წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ რეკომენდაციები ძირითადად იყო სილაბუსებში არსებული ტექნიკური ხარვეზების შესახებ, რაც პროგრამას განხორციელებაში ხელს არ უშლიდა. ექსპერტმა ხაზი გაუსვა პროგრამის დადებით მხარეებს და განმარტა, რომ დაწესებულებაში დანერგილია ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა, არსებობს ინტეგრირებული კლინიკური მოდულები, სადაც სტუდენტების დიდი ნაწილია ჩართული და აქედან გამომდინარე ხდება პრაქტიკული კომპონენტის რეალიზება. გარდა ამისა, სტუდენტები ჩართულები არიან სამეცნიერო კონფერენციებშიც.
რეკომენდაციებთან მიმართებით ექსპერტმა განმარტა, რომ პირველი რეკომენდაცია, რომელიც ეხება სილაბუსებში: ბაზისური კურსი სტომატოლოგიაში, ადამიანის ფიზიოლოგია, ბიოქიმიის საფუძვლები, ზოგადი ფარმაკოლოგია, კლინიკური ანატომია, სამედიცინო ფიზიკა, ბიოფიზიკა - არსებული უზუსტობებს, მათი გამოსწორება მარტივად არის შესაძლებელი. ამის შემგომ საბჭოს წარუდგინა მათ მიერ გაცემული რეკომენდაციები.

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან და მიზნებიდან გამომდინარე, ექსპერტებმა შეიმუშავეს გარკვეული რეკომენდაციები, კერძოდ :

1. გასწორდეს სილაბუსებში ბაზისური კურსი სტომატოლოგიაში, ადამიანის ფიზიოლოგია, ბიოქიმიის საფუძვლები, ზოგადი ფარმაკოლოგია, კლინიკური ანატომია, სამედიცინო ფიზიკა, ბიოფიზიკა - არსებული უზუსტობები;
2. ზოგადი ქირურგია - შეფასება შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე გაიწეროს სრულყოფილად;

3. ზოგადი ქირურგია, კლინიკური ორთოპედიული სტომატოლოგია-I,II,III: ოტორინოლარინგოლოგია, ყბა-სახის ქირურგია I,II,III, I,II,III,IV- მოხდეს სწავლის ყველა შედეგის შეფასება;

4. რადიოლოგია და სამედიცინო ტერმინოლოგია- მოხდეს წერილობითი პრეზენტაციის ამოღება სილაბუსიდან;

5. სასწავლო კურსებში- ზოგადი ქირურგია, ინფექციური სნეულებები, კერძო ქირურგია, კლინიკური ორთოპედიული სტომატოლოგია - I,II,III; მოდული დენტალური იმპლანტოლოგია, მოდული- პაროდონტის, პერიიმპლანტის, ლორწოვანი გარსის დაავადებები და მდგომარეობები I,II,III; პირის ღრუს ქირურგია, ყბა სახის ქირურგია I,II,III, IV; ორთოდონტია I,II,III, IV; - დასკვნით გამოცდაზე მოხდეს კლინიკური უნარების შეფასება. 6. კლინიკური ორთოპედიული სტომატოლოგია-1, ავტორი მიუთითებს, რომ სტუდენტს შეუძლია:

პაციენტებსა და კოლეგებთან ურთიერთობის პროცესში კონფიდენციალობის დაცვა;

პაციენტების ასაკობრივი და ფსიქოლოგიური თავისებურებების გათვალისწინება კონსულტაციებისა და მკურნალობის პროცესში;

სწავლის საჭიროების განსაზღვრას და სამომავლო სწავლის განხორციელებას ორთოპედიულ სტომატოლოგიაში

პაციენტის სოციალური, კულტურული, რელიგიური და ეთნიკური სტატუსის პატივისცემა;

სასწავლო კურსით შინაარსი არ შეესაბამება მიღწეული სწავლის შედეგს, თუმცა ამ შედეგის მიღწევა შესაძლებელია.

7. სასწავლო კურსებში ორთოდონტია, ალერგოლოგია - მოხდეს ლიტერატურის განახლება.

სხდომის თავჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

უმაღლესი საგანმანათლებო დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ნაწილობრივ იზიარებს ექპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებს. კერძოდ, კლინიკური უნარების შემოწმება ისეთ კურსებში როგორც არის ,,ზოგადი და კერძო ქირურგია“ და ასევე ,,ოტო-რინო-ლარინგოლოგია“ უნივერსიტეტს არ მიაჩნია რომ მაპროფილებელი საგნების მსგავსად უნდა მოხდეს OSCE მეთოდის გამოყენებით. კლინიკურ დისციპლინებში აუცილებელია კლინიკური უნარების შეფასება, რაც კეთდება შუალედური შეფასების ფარგლებში, ცალკეული მანიპულაციების მიხედვით. ამავე უნარების შეფასება დასკვნით გამოცდაზე, პროგრამის კომიტეტის აზრით, ერთ მხრივ დუბლირება იქნებოდა, მეორე მხრივ, წინააღმდეგობაში მოვიდოდა თანამედროვე მიდგომებთან, რომლის შესაბამისად, კლინიკური უნარების გამოცდა უნდა ჩატარდეს ე.წ ოქროს სტანდარტის - OSCE-ს მეთოდით, ეს კი მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ყველა დისციპლინაში პრაქტიკულად ვერ ხერხდება.

კომუნიკაციის უნარების შეფასებასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სილაბუსში ხაზგასმით არის გაწერილი თუ როგორ ხდება შეფასება და ასევე, მოცემულია კონკრეტული შეფასების კრიტერიუმებიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შეიძლება შეფასებასათან დაკავშირებთ OSCE-ს მეთოდისგან განსხვავებული შეფასების მეთოდით აფასებენ, მაგრამ მიუხედავად, ამისა, ისინი სწავლის შედეგებზე გადიან. რაც შეეხება OSCE-ს მეთოდს, აღნიშნული მეთოდს დაწესებულება იყენებს მეათე სემესტრში, შემაჯამებელი გამოცდი ფარგლებში.

ექსპერტთა წარმომადგენელმა გარკვეულ სილაბუსებში გაწერილ შეფასების სისტემასთან დაკავშირებით რჩევის სახით განმარტა, რომ კლინიკური საგნების დასკვნითი გამოცდები ყოფილიყო ინტეგრირებული, რომელიც მოიცავდა, როგორც თეორიულ ასევე, პრაქტიკულ კომპონენტს, რადგან ამჟამად დასკვნითი გამოცდის დროს მხოლოდ თეორიული ნაწილის შეფასება ხდება, შესაბამისად უმჯობესი იქნება პრაქტიკული კომპონენტის დამატება, რის შედეგადაც მოხდებოდა ინტეგრირებული გამოცდის ჩატარება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაესვათ კითხვები ან გამოეთქვათ მოსაზრებები
საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ, განმარტა, რომ მცირე მოცულობის საგნების შემთხვევაში, ინტეგრირებული OSCE-ს შეფასების მეთოდი მიღებულია. მნიშვნელოვანია, რომ დამამთავრებელი კურსის OSCE ყოველთვის მოიცავს მეტად კომპლექსურ პრობლემას და დავალებას. ასევე, განმარტება გააკეთა ე.წ. სადგურების შეფასებასთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა რჩევის სახით აღნიშნა, რომ შეფასები სისტემის გამოსახვა არ ხდება პროცენტებით, შესაბამისად მნიშვნელოვანია აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება.
საბჭოს წევრმა ექსპერტს რჩევასთან დაკავშირებით მიმართა, რომ რჩევის სახით მოცემულია: პროგრამის ყველა შედეგი, მათ შორის პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა გახდეს გაზომვადი. აღნიშნული რჩევა მიცემულია, მაშინ როცა პირველი სტანდარტი სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამის შინაარსი და შედეგები სრულიად შეესაბამება ერთმანეთს, თუმცა, სილაბუსებში, არის მცირე ტექნიკური ხარვეზები. მნიშვნელოვანია მიზნებში მკაფიოდ ჩანდეს კომპეტენციები და უნარები, რასაც სტუდენტი შეიძენს სასწავლო კურსის დასრულების შედეგად.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:42
დასრულების დრო:17:45

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „დიპლომირებული სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
საბჭოს სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციები:

ა) გასწორდეს სილაბუსებში ბაზისური კურსი სტომატოლოგიაში, ადამიანის ფიზიოლოგია, ბიოქიმიის საფუძვლები, ზოგადი ფარმაკოლოგია, კლინიკური ანატომია, სამედიცინო ფიზიკა, ბიოფიზიკა- არსებული უზუსტობები;
ბ)ზოგადი ქირურგია - შეფასება შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე გაიწეროს სრულყოფილად.
გ) ზოგადი ქირურგია, კლინიკური ორთოპედიული სტომატოლოგია-I,II,III: ოტორინოლარინგოლოგია, ყბა-სახის ქირურგია I,II,III, I,II,III,IV- მოხდეს სწავლის ყველა შედეგის შეფასება.
დ) რადიოლოგია და სამედიცინო ტერმინოლოგია- მოხდეს წერილობითი პრეზენტაციის ამოღება სილაბუსიდან.
ე) სასწავლო კურსებში- ზოგადი ქირურგია, ინფექციური სნეულებები, კერძო ქირურგია, კლინიკური ორთოპედიული სტომატოლოგია-I,II,III; მოდული დენტალური იმპლანტოლოგია, მოდული- პაროდონტის, პერიიმპლანტის, ლორწოვანი გარსის დაავადებები და

მდგომარეობები I,II,III; პირის ღრუს ქირურგია, ყბა სახის ქირურგია I,II,III, IV; ორთოდონტია I,II,III, IV;- დასკვნით გამოცდაზე მოხდეს კლინიკური უნარების შეფასება.
ვ) კლინიკური ორთოპედიული სტომატოლოგია-1, ავტორი მიუთითებს, რომ სტუდენტს შეუძლია:

- პაციენტებსა და კოლეგებთან ურთიერთობის პროცესში კონფიდენციალობის დაცვა;
- პაციენტების ასაკობრივი და ფსიქოლოგიური თავისებურებების გათვალისწინება კონსულტაციებისა და მკურნალობის პროცესში;
- სწავლის საჭიროების განსაზღვრას და სამომავლო სწავლის განხორციელებას ორთოპედიულ სტომატოლოგიაში
- პაციენტის სოციალური, კულტურული, რელიგიური და ეთნიკური სტატუსის პატივისცემა;

ზ)სასწავლო კურსით შინაარსი არ შეესაბამება მიღწეული სწავლის შედეგს, თუმცა ამ შედეგის მიღწევა შესაძლებელია.
თ) სასწავლო კურსებში ორთოდონტია, ალერგოლოგია- მოხდეს ლიტერატურის განახლება

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტ ების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „დიპლომირებული სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენით.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
გეგენავა დიმიტრი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ტუფინაშვილი თამარ



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა